

გაუმაჯოს 1 მაისს — იმპერიულიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის

1978 წლის
მაისი,
ორშაბათი.


პროლეტარებო! ყველა ძველსა, შეერთდით!



1978 წ.
№ 86
(61-1)
1
მაისი,
ორშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საპარტიველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს (საბაგო) **ЛЕЛО** Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან



3. აპრილის ნახატი.

მაისი შემობრძანდა დედამიწაზე, ხალხთა სოლიდარობის, ძიებისა და ერთობის კეთილი მაცნე. ლალად და ამაყად შემობიძგა თითოეულ ოჯახში, თითოეული ადამიანის გულში, თან უღვევი სიხარული და სიბოძო მოიტანა.

მაისი, ეს ხომ მილიონობით ადამიანსთვის ძვირფასი და ახლობელი, საყვარელი და სასიამოვნო სტუმარია, მარადიული სიჭაბუქის, სიხარულისა და ბედნიერების კვშიარტი სიმბოლოა!

წლებულს ორმოცდამეათეობეტელ მაისობს საბჭოთა საქართველო, განახლებული, აყვავებული და ბედნიერი მომავლის საქართველო. შენდება, მშენდება და ღამობდება ჩვენი საშობლო. მწკობრში დგება ახალი პილოტეკტრისადგურები, ფაბრიკები და ქარხნები, საცხოვრებელი და დასასვენებელი სახლები, ბაგაბლები და სასწავლო დაწესებულებები, სპორტული ბაზები და ნაგებობანი. ახალი მიღწევებით გეზარებენ ჩვენი რესპუბლიკის მშობლები, მგზიეები და მეციტრუსები, მევენახეები და მეფოლადეები, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები, დიზულტურელები და სპორტსმენები.

მაისობს ქართული საბჭოთა სპორტი, მილიონთა ჩანართელობის, სილალისა და სიჩაუქის ეს ერთგული შემწე.

მაისი, გაზაფხული და სპორტი განუყოფელი.

მაისის შობი გაეცისკოვებულ ამ დიდებულ დღეებს, საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუციით ფრთაშესხმულ დღეებს ახალი ღირსეული, საგმირო და სახელოანი საქმენი სკირდება. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს ნათლად აქვთ შეგვებული დღეგანდელი დღის მნიშვნელობა და სიდიადე. ეს კი მომავალი წა-

რმატებების საიმედო გარანტიაა. მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადა, სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა, მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშები — აი ის სიმღლები, რომელთა დაძლევა მოუწევთ ჩვენს სპორტსმენ ქალოშვილებსა და ჭაბუქებს. დღეს ისინი სახელოვანი წინამორბედებს, რესპუბლიკის მშრომელების მზარდამხარ გამოვლენ საპირველმისო დემონსტრაციაც.

რუსთაველის გამზირის ორივე მხარეს ჩამწკობებული ათასობით თბილისელი თუ სტუმარი ამ დღეს იხილავს ფიზკულტურე-

ნატებში, ოლიმპიურ თამაშებში წარმატებით უაპარეზიოთ... მაყურებლები ნახვენ რესპუბლიკისა და თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების აღსაზრდელების, ოლიმპიური რეზერვის წარმომადგენელთა გამოსვლებს თითქმის ყველა სახეობაში.

ტრიბუნის წინ ჩივილიან საქართველოს სსრ განათლების სპინისტროს ფიგურული სრილის სპორტული სკოლის ნორჩი აღსაზრდელები. ტანარეზული სკოლის მოსწავლეები, მოკრივეები, მოფარევეები, საქართველოს

მაისი მობრძანდა

ლებისა და სპორტსმენების სპეციალურ კოლონას, რომელთა სელა დიწევა მოტოციკლებზე აღმართული სსრ კავშირის გოგონა და გვი მიდროშეებით, მათ მოჰყვება წითელი დროშების ჭეუ, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის მუშაეთა რაზმი. ჩვენი სახელოვანი ეტერანი სპორტსმენების, სპორტის დამახტრებელი ოსტატების ე. გოკიელის, მ. ბერძენიშვილის, შ. გორგასლის, ა. ნოვოსარდოვის, მ. ჯღელის, რ. ჩიმიშკინის, დ. იოსელიანის, ბ. დიარკოვის, ო. ქორტიასა და სხვებისგან შემდგარი ჯგუფი, ეტერანი სპორტსმენებისა, რომლებმაც სხვადასხვა დროს თავიანთი მზრებით ატარეს ქართული სპორტის დიდება და ვი სერათაშორისო სარბილზე გაიტანეს, ადამიანებისა, რომლებმაც სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ-

პროფსაბჭოს მიღვოსნობის სპეციალიზებელი სპორტსკოლის აღსაზრდელები, მოთბილამურები, კალათბურთელები, ფრენბურთელები, ხელბურთელები...

საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ქალები შესარულებენ ვარჯიშს ბათუმით, მათ შეეცლიან ფიზკულტურის ტექნიკის გოგონები და ბიჭები, ტრიბუნებს ჩაუვლიან საქართველოს ეკოლონიპედიტა ახალი თაობის წარმომადგენლები, ისინი, რომლებმაც უნდა გააგრძელონ ეტერანების მიერ დაწეებული საქმე.

ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მრავალრიცხოვანი კოლონის სელა დამთავრდება სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების დროშების შრილა ტკით, რომელსაც ტრიბუნის წინ ასობით კუნთმავარი ჭაბუკი ჩაატარებს...

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ დასტამა **წიგნი „ალორძინება“** გამომიდა ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებათა წიგნი „ალორძინება“. იგი მოგვითხრობს ომისშემდგომ პირველ წლებზე, მტრის მიერ დაწერული სახალხო მეურნეობის აღდგენაზე, მშვიდობიანი მშენებლობის რელსებზე გადასვლაზე. წიგნი გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საქდენი).

საპარტიველოს ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა, ფართოდ გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება, 1977 საიუბილეო წელს საგრანობლოდ გააუქმობეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ძირითადი მიზნებლები, ამაღლდა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მასობრივ-სპორტული მუშაობა. ყველა ამან ხელი შეუწყო რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმებისა და აღებული ჯალდებულებების გადაჭარბებით შესრულებას. 1977 საიუბილეო წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტ-მასობრივ მუშაობაში პირველი ადგილები მიეკუთვნათ და საქართველოს სპორტკომიტეტისგან დამოკლები წითელი დროშებითა და სპორტივეტარით დაჯილდოვდნენ: პირველ ჯგუფში — თბილისის ფიზკულტურული ორგანიზაცია, მეორეში — რუსთავეს, მესამეში — ფოთის, მეოთხეში — ორგანიკიის რაიონის ორგანიზაცია, მეხუთეში — „ბურვესტიკის“ რესპუბლიკური საბჭო.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

მეორე ადგილების მოპოვებისთვის სპორტკომიტეტის საპატიო სიგელებითა და ინვენტარით დაჯილდოვდნენ (ჯგუფების მიხედვით): ქ. ქუთაისის, მახარაძის, სპორტდისა და ლუშეთის რაიონების ფიზკულტურის ორგანიზაციები და „განთიადის“ ცენტრალური საბჭო. მესამე ადგილები დაიკავეს და სპორტკომიტეტის საპატიო სიგელებითა და ინვენტარით დაჯილდოვდნენ: აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, კასპისა და ლენტეხის რაიონების და „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ფიზკულტურული ორგანიზაციები. სოცეჯიბრების დებულება ითვალისწინებდა აგრეთვე ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობასა და მასობრივ ფიზკულტურის განვითარების საქმეში შედეგების ცალკე შეჯამებას: აქაც სო-



ცეჯიბრება ხელ ჯგუფად მიმოიწიებოდა. პირველ ჯგუფში გამარჯვებულ ორგანიზაციებს — ქუთაისის საქალაქო, თელავის, ხაშურისა და თერჯოლის რაიონების კომიტეტებს, „განთიადის“ ცენტრალურ საბჭოს მიეკუთვნათ საქართველოს სპორტკომიტეტის ვიშელები; მეორე ადგილებზე გასულ თბილისის, მახარაძის, ხაშურის, ლუშეთისა და მურვესტიკის რესპუბლიკური საბჭოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს გადაეცემათ სპორტკომიტეტის საპატიო სიგელები; მეორე ადგილებზე გასულ თბილისის, მახარაძის, კასპის, ლუშეთის რაიონების, „ბურვესტიკის“ რესპუბლიკური საბჭოს ორგანიზაციებს. ისინი მიიღებენ სპორტკომიტეტის საპატიო სიგელებს. სპორტკომიტეტის სიგელები მიეკუთვნათ მესამე პრიზორებს — აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, სამტრედიისა და ლენტეხის რაიონების, აგრეთვე „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს.

სპორტულ-მასობრივი მუშაობის საუკეთესოდ დაუწეებისთვის პირველი ადგილები მიეკუთვნათ (ჯგუფების მიხედვით) ქ. ქ. თბილისის, რუსთავეის, ფოთის, ორგანიკიის რაიონისა და „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ორგანიზაციებს. მათ გადაეცემათ საქართველოს სპორტკომიტეტის ვიშელები. მეორე ადგილები ხვლათ ქ. ქუთაისის, მახარაძის, კასპის, ლუშეთის რაიონების, „ბურვესტიკის“ რესპუბლიკური საბჭოს ორგანიზაციებს. ისინი მიიღებენ სპორტკომიტეტის საპატიო სიგელებს. სპორტკომიტეტის სიგელები მიეკუთვნათ მესამე პრიზორებს — აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, სამტრედიისა და ლენტეხის რაიონების, აგრეთვე „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს.



ფართოებს უზონის თლიბაიური მღსკოლვი

ცად სპირიტუალურმაზარე ამწეები — შენდება ორტყუნიქ უზონის, იცვლება დეკალაქის ნილსეტიქ მწეღობის პროსპექტზე (სტადიონი-მარცხენი) სტადიონი უნიკალური დახურული სტადიონი; დასასრულს უახლოვდება შესანიშნავი სასტუმროს მშენებლობა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის რაიონში. მას აგებენ საბჭოთა და ფრანგი სპეციალისტები.



ვირმის დებიუტი

ფინეთის სააქციო საზოგადოება „ასკო-უპო“ გახდა მოსკოვის ოლიმპიადის ოფიციალური მიმწოდებელი. „ოლიმპიად-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის ფირმა უსასყიდლოდ გადასცემს ავეჯს მოსკოვის ოლიმპიური სოფლის ღირქევისთვის. „ასკო-უპო-სადმი“ „ოფიციალური მიმწოდებლის“ სახელის მინიჭების შეთანხმებას ხელი მოაწერეს მოსკოვში „ოლიმპიად-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. კოვალოვა და სააქციო საზოგადოებას გენერალურმა დირექტორმა კ. კანკარანარტამ. ამ უკანასკნელმა მადლობა გადაუხადა საორგანიზაციო კომიტეტს, რომ ფირმას შესაძლებლობა მიეცა თავისი წვლილი შეიტანოს XXII ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებაში.

შეჯავდა საკავშირო კონკურსის — „ოლიმპიური არბიტრის“ მეორე ტური. როგორც ცნობილია, კონკურსის მიზანია შეარჩიოს და ღირსეულად მოამზადოს საბჭოთა მსაჯეები მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშებისთვის. მხოლოდ რჩეულებს მიენიჭებათ სპატიო უფლება უცხოელ კოლეგებთან ერთად მოემსახურონ ოლიმპიურ შეჯიბრებებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში. როგორც საკლდის კორესპონდენტს „ოლიმპიად-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტში შეატყობინეს, კონკურსის მეორე ტურში გამარჯვებულად ცნეს 1090 მსაჯე, ხოლო მთლიანად კონკურსში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 400 ათასმა ადამიანმა. მათ შორის იყო 300 საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, 3500 საკავშირო

კატეგორიის, 12000-მდე რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯე. 1977 წელს მსაჯეების კვალიფიკაციის ამაღლებაში კარგი შედეგები აქვთ ლენინგრადის, ყაზახეთის, ესტონეთის, ლიტვის, ლატვი-აღენიშნავთ, რომ სპორტის ზოგიერთ სახეობაში (თანამედროვე ხუთბრუნო, ცურვა, აფროსნობა, კალათბურთი, საცხენოსნო სპორტი) შეჩვეულ კანდიდატთა რიცხვი 3-4-ჯერ აღემატებოდა სხვა

სახეობათა წარმომადგენლებს. კონკურსის „ოლიმპიური არბიტრი“ ფაქტურად სპორტული მსაჯეების მომზადების მასობრივ საკავშირო სკოლად იქცა. ზოგიერთ საერთაშორისო ფედერაციასთან შეთანხმებით, 1978 წელს მესამე ტურის დროს შედ-

გება საერთაშორისო სამსაჯო სემინარები — ექვთოდ, მშვიდლოსანთა შეჯიბრებაში „გაზაფხულის ისრები“ ვილინოსში, ველოსიპედის სპორტში — ვილინოსში და სხვ. „ოლიმპიური არბიტრის“ საკავშირო კონკურსის სამ ტურში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან „ოლიმპიად-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტისა და სსრ კავშირის სპორტკომიტეტის დამოღებებით, ოლიმპიური თამაშების ემბლემიანი სამაშხვრო ნიშნებით და უფლებას მიიღებენ იმსაჯონ სსრ კავშირის ხალხთა მეშვედე ზაფხულის სპორტკავადში, აგრეთვე, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში, რომლებიც ჩვენთან 1979-80 წლებში გაიმართება (საკლდის).

არბიტრთა შერჩევა ბ რ კ ე ლ დ ე ბ ა

ის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სპორტულ ორგანიზაციებს. 3 ათასზე მეტი მსაჯე მოემზადა სემინარებზე მოსკოვში. აქ წარმატებით მუშაობს პირველად ჩვენს ქვეყანაში შექმნილი „ოლიმპიური არბიტრის“ სკოლა მძლეოსნობაში.

სახეობათა წარმომადგენლებს. კონკურსის „ოლიმპიური არბიტრი“ ფაქტურად სპორტული მსაჯეების მომზადების მასობრივ საკავშირო სკოლად იქცა. ზოგიერთ საერთაშორისო ფედერაციასთან შეთანხმებით, 1978 წელს მესამე ტურის დროს შედ-

სტადიონში იმატომ მივდივარ, რომ დავტყუე ლამაზი სანახაობით, რომელშიც ყველაფერია ჩაქოვილი — სპორტული სიჩაქუქი, პატიოსანი ბრძოლა, ასპარეზობის მონაწილეთა ურთიერთგებობრივი დამოკიდებულება და ფეხბურთის თამაშის მრავალი სხვა სასაამოვო კომპონენტი. დღეს დიდი ფეხბურთით სუნთქავს ყველა — ახალგაზრდა თუ ხანშიშვესული, ქალი თუ ბავშვი (ქალები და ბავშვები მეტწილად ტელევიზორის ეკრანებს უსხედან, სტადიონებს ნაკლებად ეტანებიან და თუ რატომ, ამას თქვენ თვითონ მიხვდებით). ათასგვარი პროფესიი იბადება დაწესებულებებში თუ სასწავლებლებში, ჭარბნება თუ სხვა ორგანიზაციებში. მატრის დღეს აქ გამართულ კრებებსა თუ საწარმოო თათბირებზე საუბარი ფეხბურთით იწყება და ფეხბურთითვე მთავრდება. ეს გასაგებია, სპორტი ხომ მძლავრად შეიჭრა თვითეული ადამიანის ყოფაში. უსპორტოდ არსებობა წარმოუდგენელი ამბავია.

თის ტრიბუნის მეორე იარუსის ბილეთები ელთ ხელჩანათაში. ერთხელ კიდე ვკადე გაბრძოლება, მაგრამ დიდი ანგარიშით — 1:4 დავმარცხდი. სტადიონისკენ რომ მივდიოდი, სულ იმის შიშში ვიყავი, ტრიბუნაზე ისეთ მაყურებელთა გვერდით არ მოგვხდებოდა, რომლებიც თითქმის სტადიონზე თამაშის სანახავად კი არა, თავიანთი უხამსობისა და თავფუკავებლობის გამოსამწეურებლად მოდიან. საერთოდ ბედი არასოდეს მწყალობდა და არც დღეს გაუღმია ჩემთვის იმ დალოცვლის. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ

ყინსა და მსესუმშირას. ჩემთვის ეს სურათი ნაცნობი იყო და არც გამეკვირვებია. მსაჯეა მატრის დაწყების ნიშანი მსაჯე და სტადიონის 80-ათასიანი ფილა გაიჭრუნა. კარგი დასაწყისი გულზე მალამოდ დამეღო, მაგრამ ერთი წუთით ჩამოწოლილი სიჩუმე დიდხანს არ გაგრძელებულა — როცა მეტოქის მცველმა ჩვენს მოთამაშეს მხარი გავრჩინა და გაკარა, მსაჯეს კი, რადგან ბურთს კვლავ ჩვენი ფეხბურთელი ფლობდა, თამაში არ გაუჩერებია, აღმოსავლეთის ტრიბუნის მხრიდან კარგა გვარდანი ბავშვი გაიხსმა. მას ჩვენი ტრიბუნის ზოგიერთი

— თამაშის წესები თვითონ მსაჯე-ბმავე არ იცინა! — ასეთი იყო ერთ-ერთი მათგანის აზრი. მათთან პაექრობა ფუტე საქმედ ჩავთვალე და თამაშში „ჩავერთე“. ბურთი ჩვენებს უნდა გაეტანათ და პირიქით კი მოხდა. ამ მოვლენას, როგორც წესი, მაყურებელი გულგრილად სვდება, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება სოლზე თუ რატომ ხდება ასე, ამის ახსნა ბევრ დროს წავარტყმევს. რაღაც გუშავდა, მუდღემ ჩვენი კარის ადგმა ტანის დაკრით აღინიშნა, მერე გაკვირვებით გადმოხსება, თითქმის მუხბნებლად, რა ხდება, ხომ ბრწყინვალე გოლი იყო. ბრწყინ-

ში რაღაც საგანი არ მომხვდა, თვალე-ბი გაავახილე და ჩვენს თავზე ქალაქდროს თვითმფრინავების შთელი ესკადროლითა სურავდა სივრცეს. ერთ-ერთმა „თვითმფრინავმა“ კეფიდან ჩემს მუხლზე განახორციელა იძულებითი დაშვება, ჩემს ამაღს თვალს შევევლე. ნაბოლრა ბიჭი არ ნანდა. ელდა მეცა, აქეთ-იქით მიმოვიხიდე, ვერსად დავლანდე. წამოვვარდი და ტრიბუნიდან ძირს დავეშვი. ბევრი ძებნის მიუხედავად, შვილს ვერსად მივაკვირე. გაკვირვებულს სტადიონის დიქტორმა მისინა: — მშობლებს ჩამოტრა პატარა სოსო ბუცაძე. მოაკითხეთ სტადიონის დირექციისში!

ნ უ მ ო მ ი ს ო ო ბ ო ა მ ს ი ა მ ო ვ ნ ე ბ ა ს!

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი


მეტოქე გუნდის მატრის წინ სავარჯიშოდ გამოსვლას, ჩვენი ტრიბუნა სტეინითა და ათასიანი შედახილებით შესვდა. გვერდებოდა, ფეხბურთელებთან კი არა, კბილებამდე შეიარაღებულ მოსიხლე მტრებთან გეჭონდა საქმე. პირველმა „დარტყმამ“ ყველაზე უფრო ნაბოლრა ვაჭი „დაახარა“. მას შიშისგან თვალე-ბი გაუფართოვდა და მთელი ტანიო ზედ მოშეკრა. მეუღლეს ირონიულად გადავხედე და გულში ვთქვი, ჯერ სად ხარ! ეს საფეხბურთო გმირული სიმფონიის მხოლოდ ტკბილი შესავალია. მთავარი წინ არის მეოთე.

მეუღლემ თვალთ მანიშნა მაყურებელთა ერთი ჯგუფისკენ, რომელიც ძალზე „დასაქმებული“ ჩანდა. გეგონებოდა, ადამიანთა ეს კრებული ფეხბურთის სანახავად კი არა, სტრამქის ამოსავსებად მოსულიყო. ვინ ნამსხვარს შეექცეოდა ხარბად, ვინ ნა-

ბინადარიც აკყვა. განსაკუთრებით თავი მაინცდამაინც იმ კაცმა გამოიჩინა, ზუსტად ჩემს უკან რომ იჯდა. ის დალოცვილი საშინელი ხმით სტეინდა, თანაც პირიდან მსესუმშირის ჩენიოებს ისე სეტყვასავით ისროდა ჩემი კეფის მიმართულებით, რომ სიმერის თფლმა დამახსნა. ჩემს წინ მჯდომმა ნაყინის ქალადის ქიბა სტყორცნა საფეხბურთო მიწდვრის მიმართულებით. მინდოდა, წესრიგის დამრღვევს კისრში ვწვდომოდი, მაგრამ მის გვერდით მყოფმა მაყურებელთა ჯგუფმა ისეთი მრისხანე თვალე-ბი შემიმანათა, რომ სურვილი სურვილად დამრჩა. — ეს მოხუცი კაცი ჩვენს მეტოქეებს ქომავობს! ყურადღებით უნდა ვიყო! — მომხსნა ჩემი შისამართით ნათქვამი სიტყვები. — თამაშის წესების ცოდნაც კარგი საქმეა! — არ დავაყოვნე მე.

ნვალე გოლი კი გაიტანეს ჩვენმა მეტოქეებმა, მაგრამ... შემოდან ასეთი დიალოგი მომესმა: — ჩვენ ბილეთებს რის ვაი-ვაგლასით ვმოლობთ, ესენი კი, მტერსა და მოყვარეს ერთმანეთისგან რომ ვერ არჩევენ, ცენტრალურ სექტორში წამოტიპოვლან. — ეს ქალი ალბათ უსაქმური იქნება, თუაზში ტრიბუნა, სტადიონის ტრიბუნაზე ჯდომა ამჯობინა. ვაი, მაგის პატრონს!... ჩვენმა გუნდმა ანგარიში გაათანაბრა და შემდეგ დაწინაურდა კიდეც. ეს მეორე გოლი რომ გავიდა, ჩემს წინ მჯდომმა ახალგაზრდამ ჯიბეზე იტაცა ხელი, იქიდან რაღაც ამოატვრინა, ის-ის იყო საფეხბურთო მიწდვრის მიმართულებით უნდა ეტყორცნა, რომ აფეთქების ხმამ ყურთასმუნა წამართვა. შიშისგან თვალე-ბი დავსუ-ქე და ასე ვიყავი მანამ, სანამ კეფ-

ტრიბუნაზე მარტო დავბრუნდი. სოსომ ერთი ამბავი დამაწია — ფეხბურთი არ მინდოდა და რა მექნა, შვილი იქვე ღირქევაში დაატოვი და ჩვენებს საშველად სწრაფად ავირბინე ტრიბუნისკენ მიმავალი კიბე. თუასის წვერებთან იმ დროს მივედი, შუახნის მამაკაცი მსაჯეს რომ უხამსი სიტყვებით ავინებდა. მეუღლეს ხელები ყურებზე ჰქონდა აფარებული, ბიჭებს კი შიშისგან პირი დაეთოთ და თვალეებს აქეთ-იქით აცეცებდნენ. დავსტაცე ხელი ჩემიანებს და იმ ჯოჯოხეთის გამოვარდევ. შინ მშვიდობით მივედი. ...ახლაც ვაკვირდებოდა, სტადიონის ტრიბუნებზე რომ ნაკლებად შეხვდებოდა ფეხბურთის მოყვარულ ქალებსა და ბავშვებს? თუ ასე გაგრძელდება, მრავალ საფეხბურთო ბრძოლების მიწმე ბევრმა გულშემატკივარმა მამაკაცებმა შეიძლება, სტადიონზე წასვლას, ტელევიზორთან ჯდომა ამჯობინოს. რას გვერით ჩვენ, ფეხბურთის ნამდვილ მოყვარებს, თქვე ვაიგულშემატკივრებმა! ძალიან ვიხსოვო, ნუ მომისობოთ იმ საამოვნებს, რომელსაც ფეხბურთი ჰქვია. **ზ. ჯანდირი.**



ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები საზღვარგარეთ

დორტმუნდის საქარაკო სარბიულზე

ამას წინათ ქალთა შორის მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, დიდოსტატი ნინა გაფრინდავაძილი შინ დაბრუნდა დორტმუნდიდან (გერმ.)...

ჩვენმა მკითხველმა იცინა, რომ დორტმუნდში ძლიერი მეტოქეები გყავდათ. რას იტყვი მათთან სპორტულ პაექრობაზე? — მას, რაც „საქარაკო“ იმეტილებოდა ტურნირის დროს, შემდგომი მხოლოდ ის დაეუმატა, რომ ბოლომდე ყველასთან უმეღავთო ბრძოლა შექმნა...

თქვენი შედეგით თუ ხართ კმაყოფილი? — რა თქმა უნდა. II-III ადგილებში გაყოფა მსგავს ტურნირში ყველა მოქალაქისთვის საპატიოა. მხოლოდ იმაზე მწყობრად გული, რომ ჯერჯერობით საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივის შესასრულებლად, უკვე მეორედ, ნახევარი ქულა დამაკლდა. დღე იყო ნორმატივი — 8 ქულა 11 შეხვედრაში. ეს იმით, რომ დასავლეთგერმანულ მოქალაქეებს დაბალი რეიტინგი ჰქონდათ.

რამდენად ვიცით, ფინიშზე დაკარგეთ ნაღდი ნახევარი ქულა, რომელიც ნორმატივის პაუზიდაა. — მართალია. IX ტურში ბონელ ბორნგერთან მთავარი პოზიცია ლაგოკურ დასასრულამდე გერმანელებს უკარგვეს. პირველყოფისა, ეს გამოწვეული იყო მძიმე რეპლანტირებით. ვთამაშობდით ყოველდღე: დილით ვამთავრებდით გადა-

1. ... d4 (ჩაქვრილი სვლა) 2. cd cd 3. d4d4. აქ უნდა მეთამაშა 3. კ14 მ:14 4. მ16+ მ17 5. ე:გ8 მოგებით. არ შეიძლება 5. ... მ:15, 6. ლ:15X. ეტლით d4 პაიკის აყვანაც შეიძლება გარჩეული, მაგრამ ბოლომდე არ შევამოწმე ვარიანტი — 3. ... მ:ე5 4. ე:დ7 მ:გ4+. თამაშის დროს კვლავ გაავანალიზე ეს პოზიცია და სწორი დასკვნა გამოვიტანე: ლაზიერის შეწირვით თეთრები მაინც იგებენ.


3. ... მ:ე5 4. ე:დ7 მ:გ4+ 5. ლ:გ4 ე:გ4 6. ე:დ8+ მ:ფ7 7. ე:ა8. კრიტიკული პოზიციაა. მოგებისთვის საჭიროები იყო 7. ე:18+ მ:ფ:18 8. ე:გ7+ მ:ფ:8 (აგებს, აგრეთვე, 8. ... მ:ფ:8 9. მ:16+ ლ:16 10. ე:18X; 8. ... მ:ფ:7 9. მ:დ4+) 9. მ:16+ მ:ფ:8 10. მ:გ4, h5 11. მ:გ3.

რა განსვავებაა 7. ე:18+ და 7. ე:ა8-ს შორის? როცა ა8-ზე კუს ვიყვანდი, ვერ ვხედავდი, რომ მტოქეს მუდმივი ქიში ჰქონდა. 7. ე:18+-ის შემთხვევაში, როგორც თავიდან ვაპირებდი თამაშს, შავებს ეს შანსი აღარ ექნებოდათ.

7. ... ლ:ე1 8. ე:18+ მ:ფ:18 9. ე:7+ მ:ფ:7 10. მ:16++ მ:ფ:8 (ე7-ზე აყვანა საგაღმდეგო არ არის) 11. მ:გ4 მ:ფ:15 12. მ:16+ მ:ფ:8 13. ე:გ2+ მ:ფ:7 14. მ:გ8 ლ:ე5+. ყაიში, მუდმივი ქიშის გამო.

ორიოდ სიტყვა თქვენი მეტოქეების შესახებ.

— 27 წლის ანდერსონი მაღალი კლასის დიდოსტატია. იგი ბევრს თამაშობს და, ცხადია, ჩვენი ტურნირის ფავორიტი იყო. კინს იცნობენ თბილისელები. 1974 წელს იგი მონაწილეობდა ვიქტორ ვოგლიძის III მემორიალში. ახლა უკეთესად თამაშობს, რადგან მასაც ბევრი მისცა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტის კონკონოს მწვერთელობა. კინს 30 წლისაა. ასევე ახალგაზრდაა (31 წლისა) ფარავოც და ინგლისელი დიდოსტატის მსგავსად საუბრობს ინგლისს თანამედროვე თეორიას. ჩემს მწვერთელს ვიპსლისს აშკარად აკლდა პრაქტიკა. ამიტომ ბე-



გაფრინდავაძილი

ამ მდგომარეობაში პარტია გადაიდო. მისი ანალიზისთვის მხოლოდ ნახევარი საათი შექმნა დარჩენილი, რადგან შევიცარიელმა მოქალაქეებმა დიდხანს ფიქრთა ჩასაწერ სვლას. თეთრების პოზიცია მოგებულა. მუქარაა 1. კ14 ხარისხის მოგებით. ცუდია 1. ... ლ:ე5+, 2. მ:გ3-ის გამო. ჩანს, ადვილმა მოგებამ ყურადღება მოგვიდუნა მე და ჩემს მწვერთელს გაიპსლისს. პარტია ასე გაგრძელდა:



ვრი შეხვედრა ყაიშით დაამთავრა. აი, ეს დიდოსტატები იყვნენ უზარალებლის ცენტრში. ისტატებიდან გამოირჩეოდა ტატაი, რომელთანაც უწინაც მითამაშავია.

რას წარმოადგენს თვით დორტმუნდის ტურნირი?

— დორტმუნდში პირველი საერთაშორისო ტურნირი 1928 წელს მოეწყო. მასში მონაწილეობდნენ იმდროინდელი გამოჩენილი დიდოსტატები ზემში, რეტი, შპილმანი, კოლე და სხვები. მეტი ასეთი ტურნირი მოეწყო 1951, 1961 და 1973 წლებში. ყველა ეს შეჯიბრება გერმანულ საპარაკო ფედერაციამ გამართა. მაგრამ 1973 წელს დასაბამი შეიქმნა დორტმუნდის საერთაშორისო ტურნირებს, რომელთაც ქალაქის ადგილობრივი მესვერეები ხელმძღვანელობენ. 1974 წლის ტურნირში მეც ვმონაწილეობდი და III-IV ადგილები გავიყავი იტგოსლევილი დიდოსტატ დამიანოვიჩთან...

კვლავაც ვარბეიტები

ჩვენს ქალაქშიც მოსკოვში ჩატარებული სტალინზე გამართული საერთაშორისო შეჯიბრების ტექნიკური ანგარიში, როცა მას ვიანალიზებდი, ვრწმუნდებოდი, რომ „მოსკოვის დიდი პარიზის“ გათამაშებაში, რომელშიც 10 ქვეყნის საუვეტესო სპორტსმენები მონაწილეობდნენ, საქართველოს მესტერებები შესანიშნავად გამოსულან.

ბევრმა კარგად იცის, რომ ამ ასპარეზობაზე თბილისელმა თ. იმნაიშვილმა („სოკოლოტი“) პირველობა მოიგო — 198 ქულა. ათუელში შეივლინენ, აგრეთვე, მისი თანაგუნდელი ტ. ქლენტი — 195 და თბილისის არბიელი თ. მატოიანი — 195.

ახლა სპორტის ამ სახეობის მოყვარულებს ვაცნობებთ, რომ თ. მატოიანმა, რომელიც სსრ კავშირის ნაერების შემადგენლობაში იყო, გუნდთან ერთად 586 ქულა მიაკრავა და გუნდურ ჩათვლაში 2 მეტირე ოქროს მედალი მოიგო: ერთი — სსრ კავშირის რეკორდის დამყარებისთვის, მეორე — პირველი ადგილის მოპოვებისთვის.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი. საქართველოს ამ ტურის გუნდურ ტურნირში მონაწილეობა რომ მიეღო, მაშინ იგი ქვეყნის რეკორდსმენიც გახდებოდა და საერთაშორისო ტურნირში პირველი პარიზის მფლობელიც, რადგან იმნაიშვილის, ქლენტისა და მატოიანის ქულების საერთო ჯამი 588 შეადგენს.

წინ კიდევ ბევრი საინტერესო ტურნირია. იმედოვნებ ვქოწინოთ, რომ ჩვენი ბიჭები ახალი წარმატებებით გაგვახარებენ, მაგრამ მთავარი მაინც სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკადისთვის მზადებაა. სამივე სპორტსმენს განზრახული აქვს საჯარო სტარტებისთვის უდამწინესო გულმოდგინედ მოემზადონ, რომ მსოფლიოდან ოქროს მედალებით დაბრუნდნენ.



ქართული „კლასიკოსები“ ეკუბერბკალენში

3. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონი. 28 აპრილი. 3. ბლაგიძე ჯალღოების გადაცემის შემდეგ.

სტადიონის პირთამდე სახე ტრიბუნებიდან მქუხარე ტაში გაისმოდა. თბილისის „დინამოს“ და ოდესის „ჩრდილოეთის“ ოსტატ ფუნქიონებდა მატჩის შესვენებისას, ფეხზე ამდგარი მაყურებელი მსურველად ევტებოდა ევროპის ჩემპიონს კლასიკურ ჭიდაობაში ვახტანგ ბლაგიძეს, რომელმაც ეს საპატიო ტიტული რამდენიმე დღის წინ ნორვეგიის დედაქალაქში მოიპოვა. დინამოელ ვახტანგ ბლაგიძის გამარჯვება წით უსწრო სასიხარულოა, რომ ბევრ უკვე ოთხი წელია, შოთა მორჩილიძის შემდეგ ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი არც ერთ ქართველ ფალავანს ალარ მოუპოვებია, კლასიკურ ჭიდაობაში, რა თქმა უნდა.

ჭიდაობა ენახე. მაშინ „ლელოს“ ფორტლებზე გვირდო: „ვახტანგ ბლაგიძემ უნივერსიადის ჩემპიონობა იხეიმა. ამ გამარჯვებით ვახტანგი ფაქტიურად მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მის წონაში (52 კგ) სომ ბლანეტის თითქმის ყველა უძლიერესმა მოჭიდავემ მოიყარა თავი“.

თვითონ განსაკუთრებული მნიშვნელობის პირველი მეტოქე, უნგრელი ევროპის ჩემპიონი რაცი სუფთად დაამარცხა. რაცი რუმინელი მსოფლიო ჩემპიონი ჯინგა მოჰყვა, რომელიც 15:7-ზე დაამარცხა. შემდეგ კვლავ სუფთა გამარჯვება, ამჯერად ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორ ბანგთან (კორეა). ბოლოს ფინალი, სადაც თურქმა მოჭიდავემ კარადაგმა ქართველი ფალავანის ჯიმურ შეტევის ნ წუთს გაუძლო.

ახლა კი ბლაგიძე რედაქციაში ჩვენთან ერთად წის და ვვიაბობს, თუ როგორ გახდა ევროპის ჩემპიონი. — შუამდობა ოსლოს ერთ-ერთ უდიდეს სპორტდარბაზში — „ჰიკებერგკალენში“ ტარდებოდა. ჩემპიონობა ნორვეგიელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მაგალითად, სპორტდარბაზის შორიასტოს, ექვემდებარება რამდენიმე კილომეტრზე გადაჭიმული, რომელიც ავტომობილებით გაივლი.

მარცხა. შემდეგ კი, უნივერსიადე ქართველმა ფალავანმა იყორადა. ჯინგას წლეულსაც შეხვდა ბლაგიძე ბულგარეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე და კვლავ გაიმარჯვა, თანაც თბილისელმა სპორტსმენმა ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის პრიზიც დაიმსახურა.

და აი, ევროპის ჩემპიონატის ფინალიც: ბლაგიძე — ჯინგა. ვახტანგი საბრძოლველად მზად იყო, მაგრამ რუმინელმა უარი განაცხადა შეხვედრაზე. ბლაგიძე საპატიო კვარცხლბეკის უნაღმეს საფეხურზე ავიდა.

— ხსლპ მოდით, იხეე მისურაბილი და ტომოვის შეხვედრას დავეხრუნდეთ. ავთანდილი საოცრად ვაქცურად იბრძოდა 137-კილოგრამიან სახელმწიფევილ ფალავანთან, მაგრამ ბოლოს მაინც დამთ გამარჯვება. შემდეგ პოლინელ ანდრეკის შეხვდა. ავთანდილმა აქ თავიბი ჩვეული ბრწყინვალე ტექნიკა გვაჩვენა და სულ რაღაც 36 წამში მეტებზე გააკრა მეტოქე. ამჯერად ღღეს ტომოფმა ყველა სთვის მოულოდნელად ნაკლებად ცნობილ რუმინელ კადრიანუსთან წაიგო. ანან ტომოვის, კადრიანუსა და მისურაბის წარმატების შანსები გათანაბრა, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ კადრიანუსთან ტომოვის მარცხი არც თუ ისე მოულოდნელი ყოფილა. საბოლოოდ კადრიანუს გამარჯვა. მან ყველა მეტოქეს შავი დღე აყარა. ერთადერთი, ვინც იბრძოდა ამ 175-კილოგრამიან გოლიათთან, როგორც სწორი—სწორთან, მისურაძე იყო. მათი შეხვედრა ფრედ დამთავრდა. ყაიში კი, მოგეხსენებათ, ჩვენთან არ არსებობს და ამიტომ ორივეს წაგება ჩათვალა. ასე რომ, მისურაძემ ფაქტიურად მხოლოდ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთან დამთ ბრძოლა. და ადგილი კი V დაიკავა.

... წინ საკავშირო და მსოფლიო ჩემპიონატებია, მეტი — ოლიმპიური მისოკი. გვერთა, ვახტანგ ბლაგიძეს სამივეგან გამარჯვებულთა საპატიო კვარცხლბეკზე ვიხილავთ და არც ავთანდილ მისურაძე გაგვაზილებს.

ა. გუბასაშვილი.

რმკობრდს ბადააჭარბა

ხელკაჩარის სტადიონზე დამთავრდა საქართველოს სოფლის სპორტსმენთა III საზაფხულო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მშვიდლოსნობაში.


ცეცხლის ხახზე გამოვიდა აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის, სამტრედიის, თელავისა და ლენტეხის 70 წარმომადგენელი.

ტურნირს უნდა გამოეცლინებინა „კოლმურნის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრების კანდიდატები, რომლებიც მასში ნოვიაა კახოვკაში საავსირო სპორტული თამაშების ფინალში მიიღებენ მონაწილეობა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში აქტიური მშვიდლოსნებმა იმარჯვეს. პირად პირველობაში ვაჟთა შორის თბილისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვ. ტრონიანმა 8-2 გარჯობის რაშიმ 2412 ქულა მოაკრავა. 90+90 მეტრზე შეჯიბრებაში მან 554 ქულა მოაკრავა და 3 ქულით გააუმჯობესა ნ. ნოვოციცკის მიერ მარშან დამყარებული რეპუბლიკური რეკორდი. ტრონიანმა იმარჯვა სხვა დისტანციებზეც: 11 და 111 ადგილებში დაიკავეს ხელაჩათურებმა. სპორტის ოსტატმა ა. ავღუტაშვილმა — 2228 ქულა და სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ვ. ზასიძემ — 2222 ქულა, რომელმაც სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

ქალთა შორის სამივე საპრიზო ადგილი მასპინძელთა ერთობ. სპორტის ოსტატმა ლ. ტაპაროვამ 2257 ქულით იმარჯვა. სპორტის ოსტატობის კანდიდატმა გ. ტოცვიამ (2216 ქულა) სპორტის ოსტატის ნორმატივი გადააჭარბა, 111 ადგილი ერთ გ. მალაყაძეს — აგდევ.

რ. კაცოვაშვილი.



სპორტული მაისი

გაზაფხულის ეს ბოლო თვე მდიდარია სპორტული შეჯიბრებებით, რომლებიც გაიმართება ჩვენს რესპუბლიკაში:

2-7. წყალბურთი. 1958-59 წლებში დაბადებულ იუნორთა რესპუბლიკური პირველობა. ბათუმი.

4-9. კრივი. საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკ კ. ლესკლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი. გორი.

5-9. ბაიარეობითა და კანოეებით ნიკოსისა. საქართველოს თასი. ფოთი.

7-28. საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების სპარტაკიადი. თბილისი.

8-13. ცხენოსნობა. 1960-64 წლებში დაბადებულთა რესპუბლიკური პირველობა წინადაზიანება გადალახვაში. იზაზირი.

8-13. ჩოგბურთი. საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ლევაგას ხსოვნის ტურნირი. თბილისი.

11-12. ველოსპორტი (ტრეკი). საქართველოს შეჯიბრება სპარტაკი „საქართველოს ტელევიზიის დიდ პრიზში“. თბილისი.

11-15. ძალოსნობა. გ. ჩიკვაძის ხსოვნის პრიზის გათამაშება. თელავი.

11-17. ძალოსნობა. საქართველოს

ველოსპორტი. ბათუმი.

15-19. მშვილდოსნობა. საქართველოს ჩემპიონატი. ბათუმი.

15-21. კალათბურთი. საქართველოს პირველობა „ბ.“ კლასის გუნდებს შორის. პირველი წრე. გორი.

18-29. შაში. ევროპის V გუნდური პირველობა საერთაშორისო შაში. თბილისი.

20-23. ქართული ჭადაობა. საქართველოს ჩემპიონატი. ბათუმი.

20-24. ტყვიის სროლა. საქართველოს ჩემპიონატი ოლიმპიურ ვარჯიშებში. სოხუმი.

20-28. ხელბურთი. საქართველოს პირველი ჯგუფის ვაჟთა გუნდების ჩემპიონატი. თბილისი.

20 მაისი — 10 ივნისი. ჭადაგი. საქართველოს ქალთა ჩემპიონატი. ქუთაისი.

24-26. აკადემიური ნიჩოსნობა. ამერიკელების რესპუბლიკების მეორე ჯგუფის გუნდების ზონალური შეჯიბრება. ფოთი.

24-28. წყალში ხტომა. საქართველოს ჩემპიონატი. თბილისი.

24-30. ლარიკაობა. საქართველოს ჩემპიონატი. ქუთაისი.

25-30. ცურვა. 1961-62 წლებში დაბადებულთა პირველობა და რესპუბლიკის ჩემპიონატი. ბათუმი.



თასი—სტუდენტებს

ბუშინ თბილისში, საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის მოედანზე გაიმართა რესპუბლიკის თასის პირველი გათამაშების ფინალური მატჩი რეზბეში. ერთმანეთს პირისპირ დადგნენ დედაქალაქის გუნდები — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი და „სპარტაკი“.

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის გ. აბაშიძის სასტვენისთანავე მიმდინარე უშუალოდ ბრძოლა გაიმართა. მატჩში მყუდროდ ნახა ყველაფერი, რაც სპორტის ამ სახეობის აღიარებული ოსტატების შესვენებებს ახასიათებს — ლამაზი გადაცემები, მეტოქის „ქალაქის“ ადგილის შესანიშნავი მომენტები, „დრო-პოლი“, მართლაც, ლამაზი შეჯიბრება.

მაღე გამოიყვანა მომავალი ინჟინრების უპირატესობა და გვენტაქემ შეძლო სპარტაკელთა ჩათვლის მოედანზე ბურთის დადება, ხოლო ფურცელად რეალიზაცია გამოიყვანა — 6:0. ეს ანგარიში დიდხანს უცვლელი იყო. შესვენებამდე სამი წუთით ადრე გაივს მონივრულ და ფურცელად მემ ანგარიში გასარდეს — 12:0, ხოლო შესვენების შემდეგ მათვე სამი-სამი კიდევ ექვსი ქულა შესძინეს.

მხოლოდ ამის შემდეგ შესძლეს სპარტაკელებმა ანგარიში ცვლილების შეტანა: ჯერ ლებანიძემ „დრო-პოლით“ აიღო მეტოქის კარი, მერე კურატაშვილმა დადო ბურთი მომავალი ინჟინრების „ქალაქში“ და იმავე ლებანიძემ რეალიზაცია გამოიყვანა, მაგრამ სპარტაკელებმა მეტის გაკეთება ვერ მოახერხეს.

დარჩენილ დროში გვენტაქემ შესანიშნავი რეიდი განახორციელა — საკუთარი ნახევრიდან ბურთიანად მარჯვენა ფრთიდან იერიში დაიწყო და იგი თვითნებურად წარმატებით დაამთავრა. მერე მეტრეველმა და ფურცელად მემ მიაღწიეს წარმატებას. საბოლოოდ 28:9 პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასარგებლოდ. ამრიგად, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი გახდა რესპუბლიკური თასის პირველი მფლობელი.

ორივე კოლექტივი ჩაბმება სსრ

საქართველოს ჩემპიონობა პირველად

ბუშინ თბილისის ჭადრაკის სახალღეში დამთავრდა საქართველოს ვაჟთა 39-ე ჩემპიონატის ფინალი.

დასკვნის, XVII ტურში ყურადღების ცენტრში იყო ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლაში დაწინაურებული გ. ზაირი — დ. გუდუგაშვილისა და ზ. სტურუა — რ. ლომიძის (რუსთავე) შეხვედრები.

დამატულად მიმდინარეობდა ზაირი — გუდუგაშვილის პარტია. მწვავე ბრძოლის შემდეგ ზაირიმ შეხვედრა თავის სასარგებლოდ დამთავრა და პირველად გახდა რესპუბლიკის ჩემპიონი.

თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი, ოსტატი ვენადი ზაირი პერსპექტიული მოჭადრაკეა. შარან გ. გოგოლიძის IV მემორიალში მან საერთაშორისო ოსტატის წოდებისთვის საჭირო პირველი ბალი მოიპოვა. ჩემპიონატში ზაირიმ 14 პარტია მოიგო, ერთი წაგო (სტურუასთან) და ორჯერ დაამთავრა — 15 ქულა.

სტურუამ სძლია ლომიძეს და 14,5 ქულით II ადგილი დაიკავა. III ადგილზეა გუდუგაშვილი — 13,5.

ამ სამმა მოჭადრაკემ მოიპოვა სსრ კავშირის ვაჟთა 45-ე ჩემპიონატის მასობრივი შესარჩევი ტურნირის (დასკვაბლისი, ივლისი) საფურცლები.

იმ დღეს გ. ციხელაშვილმა მოუგო დ. ჩაიბაძის, ი. ციტიშვილმა — რ. დლიანს (სოხუმი), ნ. ტყეშელაშვილმა (რუსთავე) — ა. შატაბაძის (სოხუმი). ყაიშიშვილმა ი. ჩი-



ქოვანი — რ. კახანაძე, ე. უბილაგა — შ. არჩვაძე (სამტრედიო), ლ. ნეურთონი (ბათუმი) — ნ. იოსელიანი, ი. კუზნეტი — გ. მაჭარაშვილი, გამარჯვებულებს მოსყვებიან: უბილაგა — 12 ქულა, ჩიქოვანი — 11,5, იოსელიანი — 10,5, მაჭარაშვილი — 8,5, კახანაძე — 8, კუზნეტი — 7,5, ციხელაშვილი, არჩვაძე, დადიანი, შატაბაძისი — 7-7, ციტიშვილი — 5,5, ნეურთონი — 5, ტყეშელაშვილი, ლომიძე — 4,5-4,5, ჩაიბაძე — 4.

რ. თავარიანი,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, საქავშირო კატეგორიის მსაჯი.

სურათზე: საქართველოს ჩემპიონი, ოსტატი გ. ზაირი.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

ქოვეი

პრალაში პოევისტა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების მეოთხე დღეს, 28 აპრილს, ორი შეხვედრა გაიმართა: ჩეხოსლოვაკელებმა დაამარცხეს გურის წარმომადგენლები — 9:2, ხოლო შვეიცარიის გუნდმა — გურის სპორტკლუბები — 10:1.

გადასწორება

ფრანკარაპრუში (გურ) გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში მასპინძელთა გუნდის წევრმა კ. ფლეშენმა 25 კლომეტრზე რბენაში მსოფლიო მძლეოვად დაამყარა — 1:13.56. ძველ მიღწევებში რომელიც ფინელ პ. პიაივიარინტას ეკუთვნოდა, 20 წუთით გაუმჯობესდა.

ალშირში 1000 მეტრზე რბენაში ამ ქვეყნის სპორტსმენმა ქალმა ს. ბოტაშინმა აფრიკის რეკორდი დაამყარა — 2:43,2.

II ლიგა, IV ზონა

28 აპრილს გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთულ გუნდების კალენდარული შეხვედრები. მოგვიყვას მათი ტექნიკური შედეგები:

„დრუბა“ (იოშკარ-ოლა) — „ლინაში“ (სტუდენტი) 0:0, „რუბინი“ (ყაზანი) — „ლოკომოტივი“ (სამარტა) 0:0, „ხენიტი“ (ფეფესი) — „ბურია“ (ლანჩუ-უთი) 3:0, „ხუხუა“ (პერმი) — „ლინაში“ (სოხუმი) 3:0, „უალევი“ (ნიური ტავილი) — „ლინაში“ (ბოტოში) 3:1, „ლინაში“ (კაროვი) — „დილა“ (გორი) 2:1, „პროგრესი“ (კარტაბადი) — „შირაკი“ (ლენინკანი) 2:2, „ავტობობისტი“ (მაქა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) 1:2, „ტორპედო“ (ტოლიატი) — „კოლონიკი“ (აბოვიანი) 0:0, „გასტალი“ (ფუა) — „ყარაბაგი“ (სტუდენტი) 2:1, „გაბოვიკი“ (ორენბურგი) — „ხაზარა“ (ლენინკანი) 5:1, „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელინი) — „არაზი“ (ნახიევანი) 4:2.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა	I მაისისთვის	თ. მ.	ფ. წ.	ბ.	ქ.		
„კოლონიკი“	7	6	10	10	0	13	
„შირაკი“	7	5	2	0	15	7	12
„ლოკომოტი“	7	5	2	0	11	3	12
„ლინაში“ ზ	7	4	3	0	11	4	11
ფიზკ. ინსტ.	7	4	3	0	11	6	11
„გურია“	7	4	2	1	11	5	10
„ყარაბაგი“	7	5	0	2	9	4	10
„ლინაში“ ბ.	7	4	1	2	10	5	9
„ლინაში“ ს.	7	4	1	2	11	8	9
„ხუხუა“	7	3	2	2	8	5	8
„დილა“	7	2	4	1	9	7	8
„ურალსკი“	7	3	2	2	10	10	8
„ხენიტი“	7	2	3	2	7	7	7
„ხაზარა“	7	2	1	4	6	11	5
„გასტალი“	7	2	1	4	6	11	5
„გაბოვიკი“	7	1	2	4	7	10	4
„დრუბა“	7	1	2	4	3	7	4
„ავტობობა“	7	2	0	5	5	10	4
„პროგრესი“	7	1	1	5	10	15	3
„ტორპედო“	7	0	3	4	2	7	3
„არაზი“	7	1	1	5	8	14	3
„ლინაში“ კრ.	7	1	1	5	8	12	3
„რუბინი“	7	0	3	4	3	9	3
„ტურბინა“	7	1	1	5	7	19	3

მხიარული ფანტონი



დემონსტრაცია.
გ. იაშვილის ნახატი.

გამოვლინდა ფინალური ექვსეული

ზაგორში დამთავრდა ხელბურთულ ვაჟთა გუნდების საქავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მატჩები.

თბილისის „ბურევესტნიკმა“ ბოლო მატჩი ბაქოს არმიულთან ჩაატარა და მხოლოდ ფრეს დასაჯარდა — 19:19. ბურევესტნიკელები ფინალური ექვსეულის მიღმა დარჩნენ.

ბოლო შეხვედრები ასე დამთავრდა: ასკ (ლეფი) — ასკ (კიევი) 19:27, „ცელტნიკსი“ (როვა) — „ქუნტაუ“ (მოსკოვი) 20:22, საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) — ცსკა 25:28, ასკ (მინსკი) — ინდუსტრიული ინსტიტუტი (ზა-

ხელბურთი

პოროვიე) 20:26, „გრანიტისი“ (კუნსი) — „ალმინსტროი“ (ზაპოროვიე) 26:31.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა II წრის შემდეგ

მ. ფ. წ.	ბ.	ქ.				
ცსკა	19	2	1	856	-499	40
საკ. ინსტ.	19	1	2	674	-519	39
ინდ. ინსტ.	15	4	3	573	-476	34
„კუნტაუ“	15	0	7	538	-473	30
„გრ. ინსტ.“	9	3	10	528	-529	21
„ალმინსტ.“	9	2	11	509	-554	20
ასკ კიევი	9	1	12	481	-502	19
ასკ მინსკი	7	2	13	517	-574	16
„ბურევესტ.“	7	2	13	438	-533	16
ასკ ლეფი	5	1	16	510	-565	11
„ცელტნიკი“	4	3	15	477	-538	11
ასკ ბაქო	3	1	18	498	-641	7

ფეხბურთი

სტატისტიკოსის გლოკნოტში

I ლიგა

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 1:2 (0:2).

„ტორპედო“: მ. კვერნაძე, ზ. სენაძე, ზუტუბაული (ვაჟანტორაძე), მელიქია, თევზაძე, ფარულავე, ბურკაძე, ქვირია, ფეხტვენიძე, ა. კვერნაძე (გვაძაბია), შენაია.

„სპარტაკი“: ბეღელი, ევგენოვი (იურიენკო), კუშლიკი, კრუტი, კოპიტაი, კიკოტი, პოკორა, სინელნიკი, პრისტაი (მოლალოვი), სუხენკო, ღირივი (მელნიჩენკო).

მსაჯი ა. ფილიპენკო (ლუშანევი). გაფრთხილებულია პრისტაი.

დუბლიორები — 1:1.

ანგარიში მე-17 წუთზე გახსნა პრისტაიმ, ხოლო 2 წუთის შემდეგ პოკორამ მეორე ბურთი გაიტანა. ერთადერთი გოლის გაქვითვა შედგა ფარულავემ 68-ე წუთზე.

ფეხბურთი

ფეხბურთი საქართველოს პირველობა. II მაისი. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „გურია“ (ზაშური). დასწყისი 12 ს. „სპარტაკი“ (თბილისი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი). 14 ს. დამიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სალბინო“ (ვაჟანკორი). 15 ს.

„ლელოს“ შემადგენი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 4 მაისს.

რედაქტორი ბ. ზანდიალა.